



[RSS](#)



**ყოველ პარასკევს,  
13:00-დან 14:00 საათამდე  
გამორთა მობილური ტელეფონი**

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [კულტურა](#) / არასამთავრობოები: საყდრისზე მიღებული დოკუმენტაცია სამინისტრომ უნდა გაასაჯაროს  
2014.03.18

# არასამთავრობოები: საყდრისზე მიღებული დოკუმენტაცია სამინისტრომ უნდა გაასაჯაროს

[მიმა მეფარიშვილი](#)

არასამთავრობო ორგანიზაციები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან მოითხოვენ, რომ გაასაჯაროს ის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კომპანია RMG-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ნებართვა მისცა.



თქვენი რეკლამა აქ!

დარეკეთ 296 08 30. ან მოგვწერეთ  
info@netgazeti.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) მოითხოვენ, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე სამინისტრომ აღნიშნულ თემაზე დოკუმენტაცია გაასაჯაროს.

"მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არ გაუსაჯაროებია მიღებული გადაწყვეტილება და მხოლოდ სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული მცირე განცხადებით შემოიფარგლა. ამასთან, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო მეტ კოხვას აჩენს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შესახებ," - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ხელმძღვანელი ორგანიზაციები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოუწოდებენ, რომ დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად იქნა გამოყენებული.

2014 წლის 14 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შპს "RMG Gold"-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა. საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მდებარეობს "არქეოლოგიური ობიექტის" სტატუსის მქონე

ძეგლი, რომელსაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ბოხუმის რურის უნივერსიტეტი იკვლევდნენ. მათი მტკიცებით, საყდრისში 5 400 წლის წინანდელი ოქროს მადარო მდებარეობს, ხოლო კომპანია RMG და მეცნიერეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მადარო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლს არ წარმოადგენს.



Like 3
G+1 0
Tweet 0

### კომენტარი

AROUND THE WEB

WHAT'S THIS?

SmartAsset
The 50 Worst Charities in America: How to Keep From Being Scammed

YJNews
Woman in bikinis seen washing cars in freezing weather

TravelPony
Little known way to save hundreds of dollars on 4-star hotels

PBH Network
Is She The Cutest Girl Ever?

#### ALSO ON NETGAZETI

პატრიარქის საადღგომო ეპისტოლე 1 comment

თბილისის მერია: თითოეულ ეკლესიას 10 ათას ლარს ამ ეტაპზე ვერ ... 1 comment

გოგა ხაინდრავას რადიო თბილისის მიკროავტობუსებისთვის 1 comment

საკრებულომ 142 მართლმადიდებლურ ეკლესიას თბილისში ... 3 comments

0 Comments Netgazeti

Login

Sort by Best

Share Favorite

Start the discussion...

Be the first to comment.

Subscribe Add Disqus to your site